საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი, 2025 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/02

პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდია სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის“ ფარგლებში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (სტიპენდიანტთა) რაოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 14 ნოემბრის №62346 ბრძანების, საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 18 ნოემბრის №00062717 კორესპონდენციის, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 24 ნოემბრის №05-01/01 გადაწყვეტილებისა და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდია სახელოვნებო - შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის“ ფარგლებში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (სტიპენდიანტთა) რაოდენობა და განისაზღვროს 15-ით.

2. პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდია სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის“ ფარგლებში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (სტიპენდიანტთა) რაოდენობა

ფაკულტეტებზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 7 სტუდენტი;
ბ) მუსიკის ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
გ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 7 სტუდენტი.

3. ფაკულტეტებმა სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ სტუდენტთა (სტიპენდიანტთა) სია წარმოადგინონ არაუგვიანეს 2025 წლის 08 დეკემბრისა.

4. გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **რატი ჩიბურდანიძე**